ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №495/2018

ქ. თბილისი „26“ ნოემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში “შემსყიდველი”) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი იაკობაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **ი/მ მერაბ მერაბიშვილი** (შემდგომში “მიმწოდებელი”) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. “დღე”, “კვირა”, “თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. “სამუშაო”– ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ – სურსათის ეროვნული საგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში სახურავის შეკეთებასთან დაკავშკრებული სამუშაოების **(CPV45261910)** შესყიდვა;

2.2. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1776 (ათას შვიდას სამოცდათექვსმეტი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური საქმინობიდან მიღებული საკუთარი შემოსავლები.

4 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

4.2 შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

4.4.1. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

4.4.2. შეასრულოს სამუშაოები ხარისხიანად და მოქმდედი სტანდარტების მოთხოვნათა სრული დაცვით

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ფაქტიურად გაწეულ სამუშაოებზე გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით;

5.2. მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ქონების მართვისა და სამეურნეო სამმართველოს **უფროსი პაატა მაისაია.**

6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის ფუნქციაა გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

6.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს დეფექტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის და ნაკლის გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება

8.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

9. ფასები

9.1. შესასრულებელი სამუშაოს ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასმტეხლო ხელშეკრლების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ;

11.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით შესრულებული სამუშაოების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 11.1. და 11.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

11.5. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.

11.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სხვაპირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი | **მიმწოდებელი**

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	ინდ. მეწარმე მერაბ მერაბიშვილი
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.N200122900 კოდი: 220101222	პ/ნ – 01020004160 მისამართი: ქ.თბილისი, სანავარდოს ქუჩა №94 მომსახურე ბანკი: ს.ს ,,თი ბი სი ბანკი" ბ.კ. TBCBGE22 GE75TB 7531 4365 1510 0005 GEL
სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი იაკობაშვილი _____	ინდივიდუალური მეწარმე _____ მერაბ მერაბიშვილი

დნართი №1

№	სამუშაოს/საქონლის დასახელება	განზ	რაოდ	მასალა	
				ერთ.ფას	ჯამი
1	ჰიდროიზოლაცია (ტოლი)	ცალი	5	75.00	375.00
2	ჰიდროიზოლაცია (თხევადი სითხე, წებო)	ცალი	5	65.00	325.00
3	თხევადი გუდრონი	ყუთი	2	90.00	180.00
4	გაზის ბალონი	კგ	15	3.00	45.00
5	ე.წ. კატოკი	ცალი	3	7.00	21.00
6	ტრანსპორტი ხარჯი	----	1	50.00	50.00
7	ხელთათმანები	ცალი	15	1.00	15.00
8	ხელტომრები ლამის გასატანად	ცალი	30	0.50	15.00
9	ხელფასი 2 მუშაზე	სამუშაო დღე	3	250.00	750.00
10	სულ				**1,776.00**

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	ინდ. მეწარმე მერაბ მერაბიშვილი
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.N200122900 კოდი: 220101222	ბ/ნ – 01020004160 მისამართი: ქ.თბილისი, სანავარდოს ქუჩა №94 მომსახურე ბანკი: ს.ს ,,თი ბი სი ბანკი" ბ.კ. TBCBGE22 GE75TB 7531 4365 1510 0005 GEL
სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი იაკობაშვილი _____	ინდივიდუალური მეწარმე _____ მერაბ მერაბიშვილი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ **ი/მ მერაბ მერაბიშვილის** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მ/შ ----------

იურიდიული დეპარტამენტი ----------

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი ----------

ადმინისტრაციული დეპარტამენტი ----------

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო ----------

ხელშეკრულების პირობების შესრულებზე კონტროლის განმახორციელებელი პირები:

1. **პაატა მაისაია** ----------